MES 2 22 0000341087

01/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.03.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:04 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:07სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

5. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ოფო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

7	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	სოფიო ხუნდაძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
2.	მაია აზმაიფარაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3.	თათია ხარაბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპა საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
5.	ქეთევან გივიშვილი		სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II
6.	მალხაზ ბეგიაშვილი		სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II
7.	თეიმურაზ ქორიძე		რექტორი	III
8.	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
9.	იამზე თაბორიძე		სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი	III
10.	ნინო მეგრელიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
11.	ნინო თაბაგარი	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	დეკანი	IV
12.	თამარ თალაკვაძე		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
13.	ნინო გიორგაძე		იურდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
14.	დავით კერესელიძე	ა (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროფესორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	V
15.	ხათუნა საგანელიძე			V

			პროფესორი, ხარისხის კულტურის კომიტეტის წარმომადგენელი მედიცინის სკოლიდან	
16.	მირზა ხინიკაძე		მედიცინის სკოლის დეკანი	V
17.	ეკატერინე ბაკარაძე		ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ილია წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, V
6	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგების შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგების შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგების შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 11 ნოემბრის №261, გადაწყვეტილებით
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმის მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, წერეთლის ქუჩა N13
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მერაბ ხოხობაიამ აღნიშნა, რომ შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მხრიდან მოწოდებული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეაფასეს 2.2 და 2.3 ქვესტანდარტები.
ექსპერტთა ჯგუფის თქმით, დაწესებულება ვალდებული იყო შეესრულებინა ორი რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით არჩევითი სასწავლო კურსი - ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას, როგორც სავალდებულო კურსი, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილება ბუნებრივია ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას;

2. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსად, ,,ტურიზმის ეკონომიკის შეთავაზება“. რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური ასპექტების ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში გააზრებას და ახალი იდეების გენერირებას;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია შეასრულა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით რჩევებთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით თუ რა სახით გადაამოწმეს ექსპერტებმა ლიტერატურის ბმულები.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით არსებული რჩევა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, უპასუხა საბჭოს წევრის, ნინო ჭალაგანიძის მიერ დასმულ კითხვას და განმარტა, რომ ვინაიდან ვიზიტი არ შემდგარა ვირტუალური და ადგილზე დათვალიერების სახით, მათ ლიტერატურა იხილეს ელექტრონული ბმულების საშუალებით. თუმცა ასევე, ესპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ლიტერატურა ადვილად არის ხელმისაწვდომი. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები პროგრამის სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა. ექსპერტი ასევე გამოეხმაურა მეორე შეკითხვას აფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ინტერვიუების არ არსებობის გამო, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდათ საშუალება დაწესებულების მხრიდან მოესმინათ მეტი არგუმენტაცია. ესაბამისად, მათი დასკვნა ეყრდნობა თვითშეფასების დოკუმენტს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ვასილ კიკუტაძე, გამოეხმაურა საბჭოს წევრის, ლევან მოსახლიშვილის კითხვას და განმარტა, რომ საკითხი აფილირებული პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით იყო მხოლოდ რჩევა და არ შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საფრთხეს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაემატა ახალი აკადემიური პერსონალი, რომლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებითაც ექსპერტებს კითხვის ნიშნები არ გააჩნიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს რჩევას პერსონალის გაძლიერების აუცილებლობასთან დაკავშირებით და მტკიცებულების სახით მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს დაწესებულება ამ მიმართულებით. მან ისაუბრა განახლებულ მიდგომაზე პერსონალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აფილირებულ პერსონალს აქვს განსხვავებული ანაზღაურება. ასევე, მისი თქმით, შემუშავდა აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი და განისაზღვრა მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით, რის დაყრდნობითაც განისაზღვრა ფიქსირებული ანაზღაურება პოზიციების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, სადაც ტარდება მნიშვნელოვანი ტრენინგები. მათ შორის, სამეცნიერო-საგრანტო ვორქშოპები ქართველი და უცხოელი ექსპერტების მხრიდან. ვორქშოპები არის ხანგრძლივი და ინტენსიური სახის და ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: თვისობრივი კვლევა და კვლევის ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები, მონაცემთა ანალიზი და ა.შ. მან აღნიშნა, რომ მოცემული ვორქშოპების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მათ ექსპერტებს გაუზიარეს ბმულები, საიდანაც შესაძლებელია სახელმძღვანელოებზე წვდომა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;

- მიჩნეულ იქნეს, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა შეასრულა 2021 წლის 10 სექტემბრის №889999 სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები.
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებად განისაზღვროს „ტურიზმი“.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 30 ოქტომბრის №1054561 გადაწყვეტილება
5		სამართალმცოდნეობა

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას 77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგინიძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა ჯგუფის პოზიცია

გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართელმცოდნოების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა ერთი წლის წინ. საბჭომ პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია მონიტორინგით. მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა 1, 2, 4.1, 5 სტანდარტები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, პროგრამა 60 კრედიტიანია, საიდანაც 50 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო საგნებისთვის, ხოლო 10 კრედიტი - არჩევითი კომპონენტისათვის. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებაში ვიზიტი არ შემდგარა, რის გამოც, ექსპერტები დაეყრდნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დამატებითი ან ახალი რეკომენდაციის გაცემის საჭიროება ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ დამდგარა. მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ლევან მოსახლიშვილი დაინტერესდა, რამ განაპირობა ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის საჭიროება და ძირითადად რომელი სტანდარტების შეფასების მიზნით განხორციელდა აღნიშნული.

საბჭოს წევრი, ეკატერინე შაკიაშვილი დაინტერესდა ექსპერტებმა თუ დასვეს კითხვები დაწესებულებასთან სილაბუსებში შეფასების სისტემის უფრო მეტად დაკონკრეტებასთან დაკავშირებით. ასევე მან „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსში წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხოლო შესასწავლ საკითხებში არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი ენის სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლა ხდება კურსის განმავლობაში. შესაბამისად, ის დაინტერესდა თუ როგორ ხდება კურსის სწავლის შედეგების მიღწევა და რომელი სახელმძღვანელოებია გამოყენებული აღნიშნულ კურსში.

საბჭოს წევრი ანზორ ბერიძე დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე გასვლის პროცედურებთან დაკავშირებით. მან კითხვა დაუსვა ექსპერტებს, შეიძლება თუ არა, რომ ნებისმიერი სახის სამეცნიერო სტატია ჩაითვალოს ვალიდურად, თუ მიზანშეწონილია სტატიის გამოქვეყნებას ჰქონდეს სტანდარტი.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე დაინტერესდა არაპირდაპირი შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით. ის დაინტერესდა გამოკითხვები ელექტრონული სახით ტარდება თუ ნაბეჭდი სახით. და ასევე, ის დაინტერესდა ექსპერტებმა ნახეს თუ არა შევსებული კითხვარები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა უკავშირდებოდა კითხვარებს, რის გამოც ექსპერტებმა დამატებით მიიღეს გამოკითხვის შედეგების ანალიზი. რაც შეეხება სხვა დოკუმენტაციის გამოთხოვას, მისი თქმით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ვიზიტი დაწესებულებაში არ განხორციელებულა და აუცილებელი იყო დამატებითი მტკიცებულებების გადახედვა მონიტორინგის სტანდარტის შესაფასებლად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია წიკლაურმა აღნიშნა, რომ ის მონაწილეობდა პროგრამის წინა აკრედიტაციის პროცესში და ამ წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამას და, შესაბამისად, მათ არამხოლოდ მონიტორინგის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტები, არამედ ინტერვიუების შედეგად დაგროვებული ინფორმაციაც გაანალიზეს. მან განმარტა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შეიმჩნევა პროგრესი, რაც ძალიან მისასალმებელია. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროფესორები საკუთარი დარგიდან გამომდინარე სტუდენტებს სთავაზობენ თემატიკას, ასევე გამოყოფილია სავალდებულო შეხვედრები ხელმძღვანელთან და ეს ყველაფერი არ კეთდებოდა

სემესტრის ბოლოს. რაც შეეხება სტატიების გამოქვეყნების საკითხს, მისი თქმით, სტატიებს გააჩნია შესაბამისი სტანდარტები, უნივერსიტეტს მითითებული აქვს კონკრეტული ჟურნალებიც, სადაც უნდა მოხდეს სტატიების გამოქვეყნება. უნივერსიტეტის მხრიდან მიდგომა არ არის ფორმალური. ექსპერტი, ასევე, გამოეხმაურა „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ კურსთან დაკავშირებულ კითხვას და აღნიშნა, რომ სამართლის მიმართულებით უდიდესი გამოწვევაა ენობრივი ცოდნა და აზრის სწორად ფორმულირება. იურიდიული ჟარგონები და სლენგები არის ძალიან ხშირი პრობლემა, ამიტომ მისი აზრით, სილაბუსში ამ საკითხების მოხვედრა საგნის შედეგის მისაღწევად არის მნიშვნელოვანი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რატომ არ არის ლიტერატურაში მითითებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოები და რომელი სახელმძღვანელოები უნდა იყოს კურსში მითითებული იმ შემთხვევაში, თუ კურსი ისწავლება ქართულ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ილია წიკლაური დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა რომ ქართულენოვან ლიტერატურაზეც ყოფილიყო ყურადღება გამახვილებული ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ ქართული სინტაქსური წყობა და ინგლისური განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, სავარაუდო თანხვედრებს მოცემულ ლიტერატურაში ვერ ნახავდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია წიკლაურმა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქულების მინიჭების დეტალიზაციამ წინა აკრედიტაციის დროსაც გამოიწვია დისკუსია. ექსპერტების პოზიცია მაშინ იყო, რომ მაქსიმალურად დეტალურად ყოფილიყო შეფასებები აღნიშნული, თუმცა ეს საკითხი რეკომენდაციების სახით არ დაფიქსირებულა და, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ არგუმენტირებული პოზიცია იყო დამაჯერებელი. მისი თქმით, მიზანშეწონილი იქნებოდა შეფასების სისტემის დაკონკრეტება, რადგან ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოახდინონ თავიანთი შესრულებული სამუშაოს შეფასების პროგნოზირება.

საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ არამხოლოდ ზემოთ დასახელებულ ერთ კურსში, არამედ სილაბუსების უმეტესობაში წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მისი თქმით, რადგან პროგრამა ქართულენოვანია, მიზანშეწონილი იქნებოდა მეტწილად ქართულენოვანი ლიტერატურის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ კურსში ცვლილებები არ არის აუცილებელი თვითონ კურსის მიზნებიდან გამომდინარე. მისი თქმით, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ ინგლისურ ენაზე სტატიების გამოქვეყნება უცხოური ჟურნალებისთვის. უნივერსიტეტის მისიიდან და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სპეციალური ტერმინოლოგიური გამოცდილების მიცემა არის მნიშვნელოვანი, შესაბამისად, ლიტერატურაც შერჩეულია ამ ფაქტორით. მან აღნიშნა, რომ ეს ლექციები არ არის ტიპიური სახის და უფრო ფართო არეალისაა, ვინაიდან კომპონენტი უფრო ფართოა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია წიკლაურმა აღნიშნა, რომ დასაზუსტებელია „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ კურსის შინაარსი ან სათაური.

საბჭოს წევრი ლევან მოსახლიშვილი დაინტერესდა რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის დადარებას სხვა უნივერსიტეტის პროგრამებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ე.წ. დადარების დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, რამდენად სრულყოფილი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ე.წ დადარების დოკუმენტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადარების დოკუმენტის ნახვის შემდეგ, მათ საჭიროდ არ ჩათვალეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეფასებებისა და კრიტერიუმების გრადაციის გასწვრივ არის სრული ტექსტი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი კონკრეტულ შეფასებას. შეფასების შუალედებში ხდება ლექტორის მიერ შიდა შეფასება იმის მიხედვით, თუ რომელ ნიშნულთან უფრო ახლოს არის მიღებული შეფასება. მისი თქმით, მთავარი მიზანია, რომ გამოირიცხოს სუბიექტივიზმი.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საინტერესო შეფასებებისთვის. მან აღნიშნა, რომ არ არსებობს უნივერსალური და ამომწურავი შეფასების მექანიზმი, რადგან შეუძლებელი იქნებოდა 1-100-მდე ყველა ნიშნულის ცალკე გამოყოფა, მათ გამოყვეს ძირითადი კრიტერიუმები. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკულ პრობლემებს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ამ საკითხზე მუდმივი პროგრესისთვის ფიქრს გააგრძელებენ. რაც შეეხება აკადემიური წერის საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქართულ სინტაქსურ კონსტრუქციებთან, სასურველია, გამოყენებულ იქნეს ქართული ლიტერატურა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არის პროგრამისთვის სერვისული და მოწოდებულია სხვა პროგრამიდან, რომელმაც გაიარა ცალკე აკრედიტაციის პროცესი და, საინტერესოა, ამ პროცესში თუ დაისვა აღნიშნული საკითხი. რაც შეეხება პროგრამის სხვა უნივერსიტეტების პროგრამებთან დადარების საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციის დროს მათ დადარებული ჰქონდათ როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ, ასევე საერთაშორისო პროგრამებთან. გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით არსებობდა რეკომენდაცია, მათ გააკეთეს კიდევ ერთი დადარება სტრასბურგის უნივერსიტეტთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებულია სწორედ საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. ასევე, როგორც მან აღნიშნა, დაწესებულება ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციას და ისინი ამ მიმართულებით გააგრძელებენ მუშაობას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია წიკლაურმა, აღნიშნა, რომ თავდაპირველად დადარებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაიცა დადარების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის სიმწირის გამო, თუმცა ამ ეტაპზე არსებული დოკუმენტი სრულიად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა პლაგიატის პროგრამაზე ნაშრომის შემოწმების დროს, დამთხვევის პროცენტულ რაოდენობასთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ეს მაჩვენებელი არის 25%, რის შემდეგაც დასკვნას წერს დოქტორანტის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა თუ რამდენმა დაიცვა ნაშრომი ამ პროგრამაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ჰყავდათ სამი კურსდამთავრებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ბევრი სტუდენტი არ ჰყავთ და დღეს-დღეობით მათი სტუდენტების რაოდენობა შეადგენს რვას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:59
დასრულების დრო: 15:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ საბჭომ გაიზიარა ექსპერტების შეფასება და ამავე დროს დაამატა რჩევა

1. *სასურველია სასწავლო კურსში - „აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის“ დაემატოს ქართულენოვანი ლიტერატურა*

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება № 896840
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	VIII
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	დოქტორანტურა
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძისგამზ., №25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მეოთხე (4.1 და 4.2) და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით ჯიქია, თავდაპირველად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან წარმოადგინა, რომ 2021 წლის 17 იანვარს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით. პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად, ადგილზე ვიზიტის გარეშე. აკრედიტაციის სტანდარტების შეფასება და პირობების შესრულება დადგინდა აკრედიტაციის 1, 2, 4 (4.1 და 4.2) და 5 სტანდარტებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, ყველა სტანდარდი შესაბამისობაშია მოთხოვნასთან. რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა დაცვის წინაპირობის რეალისტურობასთან დაკავშირებით. მან ამოიკითხა, რომ დაცვის წინაპირობას 4 სამეცნიერო ნაშრომის სტატიის წარმოდგენა, რეცენზირება და რეფერირება წარმოადგენს მან იკითხა, თუ რამდენად ახერხებენ დოქტორანტები ამ მოთხოვნების შესრულებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით პროსპექტუსი, კვლევის პროექტი, 10 კრედიტიანია. მან იკითხა თუ იზომებოდა კვლევითი კომპონენტი და თუ ხდებოდა ქულებით შეფასება. მისი მეორე კითხვა ეხებოდა სადოქტორო ნაშრომის დაცვის წესს, თუ რა ეტაპებს გადიოდა სტუდენტი დაცვამდე, გადიოდა თუ არა კოლოქვიუმს და რა შემთხვევაში კოლოქვიუმის კომისია აძლევს სტუდენტს რეკომენდაციას დაცვის ეტაპზე გადასვლის შესახებ . საბჭოს წევრმა, ასევე, წარმოადგინა კითხვა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. როგორ დგინდება ეს სამიზნე ნიშნულები და სხვა სასწავლო კომპონენტებზე, რატომ არ ხდება მათი დადგენა. შეფასების კრიტერიუმებში ჯამური 15 ქულა კარგად არის ახსნილი, თუმცა ინტერაქციული ლექციის ჩატარების კომპონენტში არ არის ქვეჩაშლა და თუ დაისვა კითხვა თუ რა შემთხვევაში რა ქულა იწერება.

საბჭოს წევრი ირინა გველესიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა თავისი კითხვა ერთ-ერთ სილაბუსთან დაკაშირებით, სადაც დამატებით ლიტერატურაში ერთ-ერთ წყაროდ წარმოდგენილია ვიკიპედია. მან სთხოვა დაწესებულებას ამასთან დაკავშირებით გაკეთებულიყო კომენტარი.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე, მიესალმა კოლეგებს და დასვა კითხვა ექსპერტების რჩევასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ კარგი იქნებოდა, კრედიტების დაკონკრეტება და რჩევის სახით მითითებული იყო, რომ 1 კრედიტი=30 საათს. საბჭოს წევრმა იკითხა, თუ რას ეყრდნობა ეს რჩევა. მან ასევე დაუსვა კითხვა ინსტიტუციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო სადოქტორო პროგრამის დასრულების საშუალო ხანგრძლივობა. მის მიერ დასმული ბოლო კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელი ბაზები იყო გამოყენებული კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის წინამორბედ აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარეც თავად გახლდათ, 13 დისერტაცია იყო წარმოდგენილი რომელთაგან 5 - სტომატოლოგიის, 8 - მედიცინის. დისერტაციების ვადებისთვის განსაზღვრულ 3-5 წელში ყველა სტუდენტმა დაიცვა ნაშრომი. ამ მხრივ, ექსპერტთა მხრიდან არ ყოფილა რეკომენდაციების გაცემის საჭიროება. რაც შეეხება, მათ მიერ გაცემულ რჩევას, რომ სასწავლო კურსების კრედიტების შესაბამისი საათების რაოდენობა იყოს ერთნაირი, ექსპერტის თქმით, ეს მხოლოდ ერთ სილაბუსს ეხებოდა, რომელიც 25 კრედიტიანი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიესალმა საბჭოს და უსურვა წარმატებული წელი. მან აღნიშნა, რომ პროგრამას 2020 წელს მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია 6 თვეში ანგარიშის წარდგენის მოთხოვნით. წარდგენილი ანგარიში მოსმენილ იქნა 2020 წლის საბჭოზე და 6 თვეში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი რეკომენდაციების გათვალისწინების შეფასების მიზნით. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ყველა რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან იყო შესრულებული. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა საბჭოს წევრების მიერ გაჟღერებულ კითხვებს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ კვლევით კომპონენტს, რომელშიც მოიცავს დისერტაციის მომზადებას, მის წარდგენას და დაცვას. კვლევითი პროექტი კოლოქვიუმს არ ითვალისწინებს. მისი თქმით, დოქტორანტის პროგრესის შემოწმების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება დოქტორანტის ანგარიშის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე, რომელსაც ერთვის დოქტორანტის ხელმძღვანელის შეფასებაც. დარგობრივი კომისია გასცემს რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში, ხოლო მომდევნო სემესტრში დოქტორანტი წარადგენს ახალ მოხსენებას განვლილი აქტივობისა და რეკომენდაციის გათვალისწინების შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ასევე, შეეხო პროსპექტუსის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს იყო მოსამზადებელი სამუშაო მანამ, სანამ დოქტორანტი გადავა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს არის მოლოდინი, თუ რა ნიშნულზე გავა პროგრამა და სტუდენტი. კანონმდებლობის მიხედვით, დამთავრებისთვის გათვალისწინებულია არანაკლებ სამი წელი, ხოლო პროგრამაზე მაქსიმალურად გათვალისწინებულია 5 წელი. მისი თქმით, არიან დოქტორანტები, რომლებმაც 3,5 წელში დაასრულეს სწავლა, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა დოქტორანტს არ დაემთავრებინოს პროგრამა 5 წელიწადში. მან აღნიშნა, რომ პირველივე დღიდან ძალიან მაღალია ხელმძღვანელების, დარგობრივი კომისიის, სადისერტაციო საბჭოს ჩართულობა. სტუდენტებს პროგრამის ხელმძღვანელთან თვეში ერთხელ მაინც აქვთ საინფორმაციო სახის შეხვედრა. აქედან გამომდინარე, დოქტორანტს ყველანაირი ხელშეწყობა აქვს იმისთვის, რომ 5 წლის განმავლობაში მოახერხოს ნაშრომის დაცვა. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში ხდება შედეგების განმტკიცება. მან აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ყველა სილაბუსს უნდა ჰქონდეს ერთნაირი საათი დათმობილი და განმარტა, რომ ეს კონკრეტული 25 კრედიტიანი საგანი არის საუნივერსიტეტო, ხოლო ყველა სადოქტორო საგნის 1 კრედიტს აქვს 30 საათი დათმობილი. მან ასევე აღნიშნა, რომ არ აქვს ინფორმაცია, თუ რატომ არის ვიკიპედია მითითებული ლიტერატურაში.

საბჭოს წევრმა ეკატერინე შაკიაშვილმა სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რას ნიშნავდა მაქსიმალური შეფასების 81-90%.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განუმარტა, რომ ეს იყო დებულებაში თითოეული კრიტერიუმის შესაბამისი ქულის ჯამის შედეგად განსაზღვრული მოსალოდნელი სამიზნე ნიშნული, რომლითაც ხელმძღვანელობენ შედეგების შეფასების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ეკატერინე შაკიაშვილს მისაღები იყო თუ არა უნივერსიტეტის წარმომადგენლის პასუხი.

საბჭოს წევრმა ეკატერინე შაკიაშვილმა დაუდასტურა პასუხის მიღება საბჭოს თავმჯდომარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა 2011 წელს იყო აკრედიტებული და ძირითადი რეკომენდაციები მიემართებოდა საკითხს, რომ პროგრამაზე მიიღებოდნენ არა მხოლოდ დიპლომირებულ მედიკოსები, არამედ დიპლომირებული სტომატოლოგებიც. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დავით ჯიქიას მხრიდანაც და უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებამ ხელი შეუწყო პროგრამის განვითარებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:32
დასრულების დრო: 15:52

სათათბირო შესვენება შეწყდა და განახლდა განხილვის პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს დაუსვა დამაზუსტებელი კითხვა თუ რომელ კომპონენტს მიეკუთვნებოდა პროსპექტუსი, სასწავლო კომპონენტს თუ კვლევის კომპონენტს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ პროსპექტუსი მიეკუთვნებოდა სასწავლო კურსის კომპონენტს.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დააზუსტა, რომ კურსის სათაური იყო კვლევითი კომპონენტის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ლიტერატურის მოძიება, გეგმის გაწერა. მან აღნიშნა, რომ კურსი იყო სასწავლო კომპონენტი და მას კვლევასთან კავშირი არ ჰქონდა. მან ასევე აღნიშნა, რომ შეიძლება სამომავლოდ კურსის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით იფიქრონ.

საბჭოს წევრმა, დამაზუსტებლად იკითხა, ეს კურსი ეხებოდა დისერტაციის თემას თუ არა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს კურსი ეხებოდა იმ თემას, რაზეც სტუდენტი აკეთებდა დისერტაციას. მან მოითხოვა პროგრამის ხელმძღვანელის დამატება, რათა აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით ესაუბრა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა დაუსვა კითხვა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ რას მოიცავდა „პროსპექტუსის“ სასწავლო კურსი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროსპექტუსი იყო მინი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მომავალში დისერტაცია. ის მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა თემის აქტუალობა, პრობლემა, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია, სავარაუდო შედეგები და ა.შ. მისი თქმით, პროსპექტუსი ადგენდა ჩონჩხს მომავალი დისერტაციისთვის, რაც მომავალში კვლევების განხორციელებისას უფრო ვრცელ სახეს მიიღებდა დისერტაციაზე.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ ეს კურსი ეხებოდა დისერტაციის კვლევას. პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ თემა იგივეა და არა სხვა. საბჭოს წევრმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, იყენებდნენ თუ არა სტუდენტები თავიანთ ნაშრომში პროსპექტუსის სწავლებით მიღებულ შედეგებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ შეიძლება გამოიყენონ ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი თუ უფრო მნიშვნელოვანი წყაროები არ ექნებათ მოძიებული, თუმცა ეს არ იყო სავალდებულო. სასწავლო კურსების გავლის შედეგად მიღებული ცოდნით მათ შეუძლიათ შექმნან წარმოდგენა, თუ როგორი უნდა იყოს მათი ნაშრომი.

საბჭოს წევრმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს დაუსვა დამაზუსტებელი კითხვა, იმასთან დაკავშირებით შედიოდა თუ არა პროსპექტუსის ათი კრედიტი იმ კრედიტებში, რომელიც სადოქტორო ნაშრომის დაცვისას ენიჭება დოქტორანტს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს წინა აკრედიტაციების დროს არასდროს გამოუწვევია დისკუსია. მისი აზრით, ეს კურსი რადიკალურად განსხვავებულია კვლევის კომპონენტისგან და დამთხვევები მინიმალურია. მან აღნიშნა, რომ ამ კურსის საშუალებით სტუდენტი მიმოიხილავს საკვლევი თემის პრობლემატიკას, ეცნობა ლიტერატურას, ხოლო შემდგომ ეცვლებათ მიდგომებიც და კვლევის მეთოდებიც.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სემესტრიდან ამტკიცებენ სადისერტაციო ნაშრომის თემას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სტუდენტის ჩარიცხვიდან ერთ თვეში ხდება სადისერტაციო ნაშრომის თემის დამტკიცება.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ესე იგი შესაძლებელია სტუდენტმა მეორე სემესტრიდან დაიწყოს უშუალოდ კვლევაზე მუშაობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ კვლევაზე მუშაობა შეუძლია დაიწყოს სტუდენტმა მეორე სემესტრიდან, თუმცა პროსპექტუსი თავისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე არის ერთმნიშვნელოვნად სასწავლო კომპონენტი.

სხდომაზე ხელმეორედ გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05
დასრულების დრო: 16:11

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერტიტეტს დაევალა „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

დაწესებულებას შესასრულებლად განმესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები

რეკომენდაციები:

1. სასწავლო და კვლევითი კომპონენტის გამიჯვნის მიზნით, რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი "პროსპექტუსი" -ს დასახელება და შინაარსი შეიცვალოს;
2. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში "ინგლისური (დარგობრივი) ენა" დამატებითი ლიტერატურის წყაროს გასწორება.

რჩევები:

1. სასურველია დამატებით არჩევითი კურსების შეთავაზება კვლევის მიმართულების გათვალისწინებით;
2. სასურველია, სასწავლო კურსების კრედიტების შესაბამისი საათების რაოდენობა იყოს ერთნაირი (1კრ შეესაბამება 30 სთ);
3. სასურველია შეფასების რუბრიკების ფორმირება/დახვეწა.

4. მეოთხე საკითხი: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი(ე-პდს)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 4 ივლისის №154 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი(ე-პდს)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10		

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	376
14	განხორციელების ადგილი	• საქართველო, 0159, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/ ჭიაურელის 6; • საქართველო, 0119, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №121; • საქართველო, 3700, რუსთავი, სანაპიროს ქ. №69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“(ეპდს) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის, შემადგენლობით, ნანა ფხაკაძე და

ხათუნა საგანელიძე, მიერ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგები. პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ყველა სტანდარტი შეფასებულ იქნა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია და ერთი ტექნიკური ხასიათის უზუსტობით გამოწვეული რჩევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი (რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე, მიესალმა დაწესებულებას და ექსპერტებს. მან დასვა კითხვა, თუ რამდენად გამოასწორა დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაცია „სტუდენტების დასწრების“ შეფასების კომპონენტად გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე მან იკითხა, თუ როგორ მიმდინარეობდა კლინიკური სწავლება პანდემიის პირობებში და თუ მოუწია დაწესებულებას რესურსების დამატება სწავლის შედეგებზე გასვლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სტუდენტის შესაფასებლად გამოყენებული იყო თანამედროვე მეთოდები და დაადასტურა, რომ სტუდენტთა დასწრების კომპონენტი ამოღებული იყო შეფასებიდან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას საინტერესო მოსაზრება აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აუცილებელია სტუდენტთა დასწრება მომავალი დიპლომირებული მედიკოსების პროფესიონალებად მომზადებისთვის.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შეფასება რეგულაციასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ამ პროცესმა მის გუნდს დიდი გამოცდილება შესძინა. მისი განმარტებით, ის პრაქტიკა, რაც შეიძლება ინგლისში იყოს მიღებული და დანერგილი, არ ნიშნავს, რომ საქართველოშიც აუცილებლად იგივე დამოკიდებულება იქნება. ამიტომ, მისი აზრით, შეფასების კრიტერიუმის სტანდარტებში სტუდენტების დასწრების საკითხი უნდა განიხილებოდეს პროფესიულ წრეებთან. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შეფასების ეს კრიტერიუმი ამოღებულია. მისი შეფასებით, კარგი იქნებოდა, რომ ეს ცვლილებები სტუდენტებს ადრე სცოდნოდათ, თუმცა დღესდღეობით ნებისმიერი საკითხი განმარტებულია სილაბუსებში. თუკი სტუდენტებს დავალება ეძლევათ, მათ ასევე ეძლევათ სპეციალური ფორმა და ახსნაც, თუ როგორ უნდა იყოს შესრულებული. პანდემიასთან დაკავშირებულ კითხვაზე, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამედიცინო პროგრამებისთვის იყო დიდი გამოწვევა, რადგან დახურული კლინიკების ფონზე იმავე შედეგებზე გასვლა, რომელზეც პროგრამა მანამდე გადიოდა, იყო ძალიან რთული. უნივერსიტეტის მხრიდან იყო დიდი მხარდაჭერა რომ საუკეთესო პრაქტიკები დანერგილიყო. პროგრამის დეკანმა აღნიშნა, რომ დღევანდელი მედიცინის პროგრამის განხორციელებას პანდემიის გარეშეც აქვს გამოწვევები. მაგალითად, თუკი წლების წინ სტუდენტებს მეტი დროის გატარება შეეძლოთ პაციენტებთან, დღეს ეს საწოლბრუნვა არის დაჩქარებული, რის გამოც შეიქმნა კურირების საფრთხე. მისი თქმით, პროგრამის წარმომადგენლები ეძებდნენ ბევრ ელექტრონულ რესურსს, რომ სტუდენტს მაქსიმალურად ჰქონოდათ გავლილი ტრენინგები საკლასო გარემოში, რათა შემდგომ მომზადებულები ყოფილიყვნენ კლინიკის კურსებისთვის.

პროგრამის დეკანმა აღნიშნა რამდენიმე რესურსი, რომელსაც პროგრამის განხორციელებისთვს აქტიურად იყენებდნენ. მაგალითად, ,,ოფენ ლაბირინთის“ სისტემა, რომელიც ონლაინ ჯგუფის აქტიურად ჩატარებას უწყობს ხელს. ეს პრაქტიკა სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მოსაწონი იყო, ამიტომ პროგრამა აპირებს, რომ ეს პროცესი გააგრძელოს მომავალშიც. ასევე, დანერგილია ,,ბოდი ინტერაქტის“ პროგრამა, რომლის გამოყენებითაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონკრეტული პაციენტები, გასინჯონ, დაუსვან დიაგნოზი და ამ მონაცემებს გაუკეთონ ინტეპრეტაცია. ასევე პროგრამის დეკანმა აღნიშნა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ,,პრაქტიკუმ სკრიპტის“ პროექტში (რაც ასევე აღწერილია ექსპერტების დასკვნაში), სადაც ჩაერთნენ მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტების დიდი ნაწილი და კონკურენცია გაუწიეს ბევრ უცხოელ სტუდენტს. მან ასევე ისაუბრა, European Knowledge Test-ზე, რომელიც სტუდენტებს აძლევს პროგრამის შეფასების შესაძლებლობას, რითიც განხორციელდა მე-3, მე-5, და მე-6 სემესტრში მიღებული შედეგების ანალოგიურ მონაცემებთან შედარების პროცესი. პროგრამის დეკანმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მოძებნეს და დანერგეს სამეცნიერო ლაბორატორიული ,,სოფტი“, რომელიც ჯერ შეისწავლეს პროფესორებმა და შემდგომ სტუდენტებმა. ასევე ეს რესურსები შემოწმდა ონლაინ ოსკის ჩატარების ფორმატისთვის, რომელიც შემდგომ განვითარების შესაძლებლობას ქმნის. პროგრამის დეკანის თქმით, მათი საქმიანობა აღწერეს ავტორიზაციის შუალედურ ანგარიშში, რომ ეჩვენებინათ თუ როგორ გაართვეს თავი ამ გამოწვევას, რამაც სამომავლოდ დიდი გამოცდილება შესძინა პროგრამის წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა პროგრამის დეკანს გაეკეთებინა კომენტარი ექსპერტების მიერ კრედიტებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს, რადგან შესაძლებელია კრედიტები სხვანაირად ყოფილიყო ინტერპრეტირებული. მისი განმარტებით, პროგრამაში გადანაცვლება მოხდა მეექვსე სემესტრში, რომელიც ქეისებით ორგანიზებული სემესტრია. „სიცოცხლის შენარჩუნების“ 3-კრედიტიანი მოდული დამტკიცდა 2 კრედიტით, სტუდენტების გარკვეული არგუმენტებით, რომ: ქეისი არ შეესაბამება მათი განათლების და მომზადების დონეს, იოლია და არ წარმოადგენს კოგნიტიურ გამოწვევას, მის გადასაჭრელად არ სჭირდებათ ლიტერატურის მოძიება და დამატებითი ცოდნის კონსტრუირება. ამ ქეისის პირობებში სტუდენტები განსხვავებულ როლებს არ არგებდნენ და დამატებით ძალისხმევას არ საჭიროებდნენ. რის გამოც, ამ ქეისით ჩანაცვლდა „საშარდე სისტემის“ მოდულში პრაქტიკის საათები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან სრულიად გაზიარებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რომ აღნიშნული ვიზიტი არის პროფესიული განვითარების ეტაპი ორივე მხარისთვის, ვინაიდან ამ გუნდისთვის სამედიცინო განათლება სასიცოცხლო ინტერესების სფეროა, რის გამოც საინტერესოა მათთან დისკუსია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:43
დასრულების დრო: 16:44
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - დაცით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომიერებული მედიკოსის“ (ეპდს) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის მოცულობა დადგინდეს კანონმდებლობის გათვალისწინებით 360 კრედიტის ფარგლებში და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში დამატებით კრედიტების საერთო რაოდენობა 16 ნაცვლად იყოს 15 კრედიტი.
2. სასურველია დაკორექტირდეს პროგრამაში ჩანაწერი„ 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობის შესახებ“, ვინაიდან მითითებული ECTS კრედიტები რეალურად შეესაბამება სასწავლო წლებს . დაწესებულების მიერ ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია და ECTS კრედიტების განაწილება განსაზღვრულია სასწავლო წლების მიხედვით.

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 25 დეკემბრის №1231998 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	VIII
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დოქტორანტურა
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა, 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით ჯიქია, მიესალმა საბჭოს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. მან წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფი, დავით ჯიქია და ჯილდა ჭეიშვილის შემადგენლობით, რომელმაც 2021 წლის 16 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი ნიუ-ვიჟენ

უნივერსიტეტში დისტანციურ რეჟიმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით გაიცა 4 რეკომენდაცია. ნაწილი გაცემული რეკომენდაციებისა იყო ბმაში წინა აკრედიტაციის შემდეგ ჩატარებულ მორატორიუმთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მედიცინის სადოქტორო პროგრამაში კრედიტების ადეკვატური განაწილება.
2. რეკომენდირებულია ჩანაწერი მოვიდეს პრაქტიკასთან და სადისერტაციო ნაშრომში აისახოს ეთიკის კომისიის ან სხვა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს (კომისია/კომიტეტი, საბჭო) დასკვნა;
3. სადოქტორო დისერტაციის შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან.
4. ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს გარე ხარისხის შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნის დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, უნივერსიტეტის მხრიდან იყო სწრაფი რეაგირება და მათ განახორციელეს ცვლილებები რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც დააფიქსირეს არგუმენტირებულ პასუხში, კერძოდ:
ქვესტანდარტი 2.4. რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია ჩანაწერი მოვიდეს პრაქტიკასთან და სადისერტაციო ნაშრომში აისახოს ეთიკის კომისიის ან სხვა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს (კომისია/კომიტეტი, საბჭო) დასკვნა“ - დოქტორანტის პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტებია: ჩარიცხვის ბრძანება, ეთიკის კომისიის დასკვნა, სადისერტაციო თემის დამტკიცების ოქმი, გამოქვეყნებული სავალდებულო პუბლიკაციები და სასწავლო კომპონენტის დაძლევის ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი), რეცენზენტების დასკვნები. თავად სადისერტაციო ნაშრომში ეთიკის კომისიის დასკვნის ცალკე ნაწილად წარმოდგენის ვალდებულება არ არსებობს და აკადემიური თავისუფლების ნაწილია ის, თუ რა ტექნიკური კომპონენტები დაერთოს კვლევის შინაარსობრივ ნაწილს, თუმცა ექსპერტებისგან რჩევის სახით, შესაძლებელია იქნას მიღებული და შემდგომში გათვალისწინებული.
ქვესტანდარტი 5.2 რეკომენდაცია: ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს გარე ხარისხის შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება შესრულება. -ექსპერტთა დასკვნის პროექტის 5.2 სტანდარტში მოცემულია, რომ 2015 წლის აკრედიტაციის საბჭოს ყველა რეკომენდაცია და რჩევა გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის მიერ. ხოლო 2020 წლის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული 7 რეკომენდაციიდან უნივერსიტეტის მიერ ყველა, შესრულებულია, თუმცა ექსპერტების აზრით, გაცემული რეკომენდაციებიდან ორი მათგანი (უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, ვიმედოვნებთ, შემცირდება) არის სადავო, რის გამოც 5.2 სტანდარტი შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში და არა-მეტწილად, მიუხედავად რეკომენდაციების მაქსიმალურად შესრულებისა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული 4 რეკომენდაციიდან 3 უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი მიესალმა ექსპერტებსა და ინსტიტუციის წარმომადგენლებს. მან იკითხა თუ რატომ იყო სილაბუსის მიხედვით პროგრამის მოცულობა 180 კრედიტი ხოლო სილაბუსში იყო მითითებული 60 კრედიტი: 1 კოლოკვიუმი 15 კრედიტი, მეორე 15 კრედიტი, დასრულება/დაცვა 30 კრედიტი.
საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა თავისი კითხვა, თუ რამდენად გამართულად შეიძლება ჩათვლილიყო ბიოეთიკის დებულება და

რამდენად იყო ასახული დებულებაში ადამიანებზე და ცხოველებზე ჩასატარებელი კვლევების ბიოეთიკური სტანდარტები თანხვედრაში საერთაშორისო სტანდარტებთან.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, სთხოვა ექსპერტებს დეტალურად განემარტათ თუ რატომ იყო ექსპერტთა მიერ სტუდენტთა შეფასების სტანდარტი შეფასებული, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დანართებში, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იყო პროგრამის განახლებული ვარიანტიც. ხოლო პროგრამაში შესაძლოა იხილეს ძველი ვერსია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ, უპასუხა ხათუნა თოდუას მიერ დასმულ კითხვას. მან აღნიშნა, რომ იგი მონაწილეობდა წინა აკრედიტაციის პროცესში, როდესაც შესწავლილი იყო ბიოეთიკის პროცესი. უნივერსიტეტმა დებულებასა და მის ჩართვაში სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებაში განახორციელა ცვლილებები, თუმცა დოკუმენტის ძალაში შესვლიდან დაცვის პროცესი არ ყოფილა, რის გამოც ცვლილებების ასახვა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახეს. რაც შეეხება, ადამიანსა და საკვლევ ობიექტებზე ექსპერიმენტისა და კვლევის ჩატარების მეთოდიკებზე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საკითხზე დაწესებულება უფრო დაწვრილებით ისაუბრებდა.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ, მისი აზრით, თემა შეეხება არა დოკუმენტის არსებობა-არარსებობის საკითხს, არამედ დისერტაციის გაფორმებისას დასკვნის ასახვას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ, დაადასტურა უნივერსიტეტის წარმომადგენლის სიტყვა და განმარტა, რომ წინამორბედი აკრედიტაციის დროსაც განიხილებოდა ეს საკითხი, თუმცა ამჯერად საკითხი შეეხებოდა იმას, თუ რამდენად აისახებოდა დასკვნის დოკუმენტი დისერტაციაში.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, იმისათვის, რომ საბჭოზე დამსწრე ყველა ადამიანისთვის ნათელი ყოფილიყო, განმარტა, რომ დასკვნა უშუალოდ თან უნდა დართვოდა დაცულ დისერტაციას. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ დისერტაციის პაკეტში უნდა შედიოდეს დასკვნაც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ, განმარტა, რომ ან უნდა შედიოდეს ან ასახული უნდა იყოს დისერტაციაში. რაც შეეხება შეფასებას, მისი თქმით, პირველი აკრედიტაციის შემდეგ ჩატარებული მორატორიუმი ეხებოდა იმას, რომ დისერტაცია ფასდებოდა ორ ნაწილად. რადგან ეს დოკუმენტურად გასწორდა, შეფასების სისტემა ფასდება ერთ ნაწილად. ამიტომ ეს საკითხი ექსპერტებს დაწვრილებით აღარ აუსახიათ.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, დააზუსტა, რომ აკრედიტაციიდან მონიტორინგამდე პერიოდში არ ყოფილა დაცვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ, აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი დაცვა იყო, რომელიც მათი ვიზიტიდან ერთ თვეში განხორციელდა.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, იკითხა მხოლოდ ეს თუ იყო პრეტენზია, რომ დოკუმენტაციას აკლდა ბიოეთიკის კომისიის დასკვნა, რადგან მათ შეეძლოთ ენახათ თუ იყო ახალი კვლევითი პროგრამები დამტკიცებული მოცემული დროის დიაპაზონში და ენახათ თუ რამდენად იყო ბიოეთიკის კომისიის დასკვნა შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხები შესწავლილი იყო პირველ აკრედიტაციაზე და წარმოდგენილი იყო შესაბამის დასკვნაში, რომელზეც უნივერსიტეტის წარმომადგენლები უკეთ ისაუბრებდნენ. მან აღნიშნა, რომ დასკვნის შინაარსი და მისი მოქმედების წესი აკრედიტაციის პროცესში იყო, თუმცა არსად ისახებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არცერთი სადოქტორო პროგრამა არ მტკიცდებოდა კომისიის დასკვნის გარეშე. მან აღნიშნა, რომ ამის დამოუკიდებელი დოკუმენტი არსებობდა და იყო განუყოფელი ნაწილი იმ ძირითადი დოკუმენტაციისა, რაც აუცილებელი

პირობაა დაცვაზე გასვლისთვის. მან ახსნა, რომ საუბარი ეხებოდა საკითხს, რომ ეს დოკუმენტი უნდა იყოს ასახული საჯარო დოკუმენტაციაშიც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ მოდიფიცირებულ პროგრამაშიც იგივენაირად იყო შეტანილი კრედიტები. პირველ გვერდზე მითითებული იყო 60 კრედიტი, ხოლო მესამე გვერდზე ისევ 180 კრედიტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა, რომ ფრჩხილებში იყო მითითებული ახსნა, იმისთვის, რომ არ გამოწვეულიყო გაუგებრობა ძველი დოქტორანტებისთვის, რომლებიც გადიოდნენ ძველი წესით. მან განმარტა, რომ სამეცნიერო კომპონენტი არ ფასდებოდა კრედიტით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ გასაგები იყო დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა ვრცელი კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე რეაკრედიტაციის დროს ჩაითვალა, რომ 180 კრედიტი იყო პრობლემური, რაც სხვა პროგრამებთან მიმართებაში სხვა ჯგუფებს არ აღუნიშნავთ. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები არ მიიჩნევენ ამ საკითხს პრობლემატურად, მაგრამ იძულებულები არიან ეს შეცვალონ. მისი თქმით, კანონი ნამდვილად ამბობს, რომ სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს 60 კრედიტი, თუმცა კანონი არ ამბობს, რომ სხვა კომპონენტების კრედიტებში გაწერა აკრძალულია. უფრო მეტიც, მისი თქმით, განათლების კომიტეტში არის ამ ცვლილებების ინიციატივა, რის გამოც ვარაუდობდნენ რომ ცვლილებები პროგრამას მოუსწრებდა. მათი აზრით, სადოქტორო პროგრამა არ არის 60 კრედიტიანი. შესაბამისად, თუ კრედიტებში გაწერა არ აიკრძალება 180 კრედიტი მინიმუმ უნდა იყოს. მან აღნიშნა, რომ შეიძლება თუ არა დაწესებულება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით არის ავტონომიური და შესაბამისად პროფესორების აკადემიური თავისუფლებაც კანონში ასახულია, ამ დონის საკითხებზე იზღუდებოდეს. მისი განმარტებით, ყველა პროგრამაში შეიტანეს იძულებითი ცვლილებები, ხოლო ფრჩხილები დატოვეს იმიტომ, რომ ადრე ასე ენიჭებოდა კრედიტები. პროგრამა შეცვლილია რეკომენდაციების გათვალისწინებით, მაგრამ დაცულია თავსებადობა ძველ და ახალ პროგრამას შორის. იმ პროგრამებზე, სადაც ჩაითვალა რომ 180 კრედიტის მითითება პრობლემაა, ცვლილებები განხორციელდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელი შეეხო მეორე მნიშვნელოვანი თემას, რაც შეიცვალა მესამე ბრძანების მიხედვით შეფასებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, დავის თემა მდგომარეობდა იმაში, რომ დისერტაციაზე შემფასებლებმა შეფასება უნდა გააკეთონ ბოლოს, რადგან სტუდენტებს კრედიტი ენიჭებოდათ სასწავლოს გარდა კვლევით კომპონენტსაც, რომელსაც წინასწარ კითხულობდნენ და თანხმობას ანიჭებდნენ რომ გამოქვეყნებულიყო. ამის გამო სადაო იყო, თუ რამდენად იყო დაცული შეფასების ერთჯერადობა. პროგრამის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამივე საკითხთან დაკავშირებით (კრედიტების მოცულობა, შეფასება და კვლევის კომპონენტებთან დაკავშირებული საკითხი) მოიძებნა კომპრომისული ვარიანტი, რომელიც მისაღები იყო ცენტრის ექსპერტებისთვისაც და დაწესებულებისთვისაც. ბოლოს მან აღნიშნა, რომ ყველა მოცემული პრობლემა ძირითადად იყო ტექნიკური ხასიათის და არა ხარისხობრივი.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდათ პროგრამაზე და რა მიღწევები ჰქონდათ მათ.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჰყავდათ 5 კურსდამთავრებული, რომელთაგან ყველა იყო დასაქმებული. მათ შორის 4 იყო თავიანთი აკადემიური პერსონალი და ისინი ასევე ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას სხვადასხვა პროექტებში.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ შორის არიან მოქმედი ექიმებიც. ასევე, ერთ-ერთი ნაშრომი დაცული იყო უნგრეთის უნივერსიტეტთან კოლაბორაციაში. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, იკითხა თუ რა მოთხოვნები ჰქონდა უნივერსიტეტს პუბლიკაციებთან დაკავშირებით და საშუალოდ რამდენი იყო ხანგრძლივობა კურსდამთავრებულების მიერ სწავლის დასრულების.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საშუალოდ სტუდენტებს სჭირდებოდათ ოთხ წელიწად ნახევარი სწავლის დასასრულებლად. რაც შეეხება პუბლიკაციებს, მათი აუცილებელი მოთხოვნაა, ერთი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში პუბლიკაცია და მეორე, რეფერირებად ჟურნალში 05 ინდექსით.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, იკითხა, თუ იყო იმპაქტ-ფაქტორი განსაზღვრული. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მიუგო, რომ განსაზღვრული იყო და ამის შესახებ პროგრამაშიც იყო ჩანაწერი.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, თუ ჰქონდა უნივერსიტეტს ცალკე მიდგომა დოქტორანტების დაფინანსების კუთხით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აქვთ ფინანსურად გაწერილი ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ დიდი რესურსია გამოყოფილი კვლევით ნაწილზე, შესაბამისად, აქვთ კონკრეტული პოლიტიკა კვლევითი კომპონენტის დაფინანსების კუთხით. მისი თქმით, ბოლო კვლევითი ბიუჯეტი 5-6 მილიონია, საიდანაც დაფინანსების მინიჭების მთავარი კრიტერიუმია დოქტორანტის ჩართულობა. სხვა კომპონენტებიდან ანალოგიური სიმძიმის არის საზოგადოებრივი ჩართულობა და თანადამფინანსებლების არსებობა.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რჩევები იყო ძალიან საინტერესო და ხელშემწყობი პროგრამის განვითარებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:20
დასრულების დრო: 18:05

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ - ვიჟენ უნივერსიტეტის - „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

რჩევები:

1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გასწორდეს კრედიტების გადანაწილებასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი.
2. სასურველია სადისერტაციო ნაშრომში აისახოს ეთიკის კომისიის ან სხვა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს (კომისია/კომიტეტი, საბჭო) დასკვნა;
3. სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ხარისხის სამსახურის მიერ, გარე ხარისხის შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება/შესრულებას.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 18 მარტის 18:07 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით